თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3346220

ნომერი: AR1514602

თარიღი : 16.06.2017

გაცემის თარიღი : 23.06.2017

გაცნობის თარიღი : 29.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია(ნაკვ.5/35);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა ხაბულიანი პ/ნ 27001000835
- ლენტეხი ს. საყდარი 1–ლი I ჩიხი N 2

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "სპეროზა" კოდი: 204378315

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 16 ივნისის AR1514602განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო,ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.18.09.005.059) ბენზინ ან დიზელ გასამართი სადგურის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; სსზ-2 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის;
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5 * / 0,7
კოეფიციენტი
კ-2
4,6
კოეფიციენტი
კ-3
0,2
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
700
კვ.მ
მინიმალური სიგანე
20
მეტრი
მინიმალური სიღრმე
30
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ტერიტორია მდებარეობს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №104 განკარგულებაში მითითებულ საავტომობილო მაგისტრალზე, სადაც საპროექტო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დადგენილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებულია გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა

ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა. ვინაიდან, “საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია- მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N104 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შესახებ 2015 წლის 20 მარტის N606 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია- მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია, გზის ღერძიდან 100-მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა“, სამსახურმა განაცხადი განსახილველად გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში , რომელიც არ არის წინააღმდეგი (გზის მოდერნიზაციის შეზღუდვის თვალსაზრისით) აღნიშნული ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების.

გარდა ამისა, ვინაიდან ბენზინ ან დიზელ გასამართი სადგურის განთავსება, საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას საკითხი შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე განხილულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოზე. აღნიშნული დასაბუთების დამუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მომიჯნავედ არსებული განაშენიანება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 16 ივნისის AR1514602განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.